პროექტი

„მედია გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნებისათვის“

18-20 სექტემბერს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ადამიანის უფლებების დარღვევის ამსახველი მასალების მედია გაშუქების მონიტორინგის შედეგები

შედგენილია „ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის“ და „მემო 98“-ის მიერ
ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ ”ღია საზოგადოება-საქართველოს” პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

1. 2012 წლის 18 სექტემბრის გადაცემათა ქრონოლოგია

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა 15:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში „კურიერი“ გაავრცელა განცხადება და შინაგან საქმეთა სამინისტროს გავრცელებული კადრები;

ტელეკომპანია „მაესტრო“, გადაცემა „სუბიექტური აზრი“, 19:00 საათი, გავრცელდა სხვა მასალა, რომელშიც ნაჩვენები იყო პატიმართა ჯგუფური ცემის კადრები.

ტელეკომპანია „მეცხრე არხი“, გადაცემა „ახალი 9“, 21:00 საათი, გავრცელდა პატიმრების გაუპატიურების ამსახველი კადრები.

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა 21:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში „კურიერი“ გაიმეორა შინაგან საქმეთა სამინისტროს გავრცელებული კადრები, ამას დაემატა ტელეკომპანია „მაესტროს“ გავრცელებული მასალა და ასევე, ინტერვიუ ხათუნა კალმახელიძესთან;

ტელეკომპანია „მაესტრო“, გადაცემა „პოლიტმეტრი“ - 22:50 წუთზე გავრცელდა პატიმრის ცემისა და თანამშრომლობაზე დაყოლიების ამსახველი კადრები, პატიმრის მაიდენტიფიცირებელი ფორმით.

ტელეკომპანია „კავკასია“, გადაცემა „ბარიერი“ - 23:15 წუთზე განმეორდა გადაცემა „პოლიტმეტრში“ გევრცელებული პატიმრის ცემისა და თანამშრომლობაზე დაყოლიების ამსახველი კადრები, პატიმრის მაიდენტიფიცირებელი ფორმით.

საზოგადოებრივი მაუწყებლის „1 არხი“, არ გაუშუქებია აღნიშნული ინფორმაცია.

2. გამოკვეთილი ტენდენციები

2.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის 1-ლი არხი საინფორმაციო გამოშვებები

18 სექტემბერს არხს არ გაუშუქებია მომხდარი ფაქტები, რაც არხის ,მნიშვნელოვან ხარვეზად უნდა შეფასდეს. თუმცა, 19 და 20 სექტემბერს დღის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, 20:00 საათიან „მოამბეში“ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები იყო დღის მთავარი თემა. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ რაც არხმა დაიწყო მიმდინარე მოვლენების გაშუქება, სიუჟეტები იყო დაბალანსებული, არხის ყურადღების მიღმა დარჩა გარკვეული მნიშვნელოვანი მოვლენები. მაგალითად, 19 სექტემბრის გამოშვებაში **არ მოხვდა ს**აპატრიარქოში მინისტრ დავით ახალაიასა და სოსო თოფურიძის სტუმრობის შესახებ ინფორმაცია, ვიზიტის მიზნის თაობაზე. ასევე, 20 სექტემებრს 21 საათსა და 57 წუთზე, არხმა დაუშვა საინფორმაციო გამოშვება „მოამბის“ საგანგებო ჩართვის პრეცენდენტი, რომელშიც გავრცელდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის, ეკა ზღულაძის, განცხადება ახლადდანიშნული შსს მინისტრის რანგში, თუმცა, დღის საინფორმაციო გამოშვებებში ვერ მოხვდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში არსებული მდგომარეობის ამსახველი ახალი ვიდეო მასალა (შეზღუდულქმედუნარიანი პირების მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპოყრობა).

გარდა ამისა, არხმა არ გააშუქა მისივე ჟურნალისტების ეკა კვესიტაძისა და ვახტანგ სანაიას მიერ სხვა ტელეკომპანიების მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია, რომელშიც ისინი საუბრობდნენ არხის მიკერძოებულობაზე.

პოლიტიკური თოქ-შოუ

20:00 სექტემბერს ეთერში გავიდა გადაცემა „დიალოგი დავით პაიჭაძესთან " რომლის სტუმრები იყვნენ გიორგი ტუღუში[1], ხოლო მეორე ბლოკში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ეკა გიგაური (საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო) და თამარ ჩუგოშვილი (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია). აღსანიშნავია, რომ პირველ ბლოკში ადგილი ქონდა საკუთარი პოზიციის ბოროტად გამოყენებას. წამყვანმა, კითხვის დასმის ნაცვლად საკითხთან დაკავშირებით ღიად გამოხატა პოზიცია და არ მოერიდა პრობლემის არსის თეორიის ჩამოყალიბებას, რომელიც იყო ძალიან ვრცელი და ასე ჟღერდა:

,,... აქ შემოდის ერთგვარი სიახლე, ან სავარაუდო სიახლე, მას შემდეგ რაც ცხადდება ნულოვანი ტოლერანტობა კრიმინალთან, რა თქმა უნდა ნულოვანი ტოლერანტობა ნიშნავს დანაშაულთან არატოლერანტულ დამოკიდებულებას. მაგრამ როცა ვლაპარაკობ კონცეპტზე, ვგულისხმობ ასეთ დაშვებას, მე არ ვამტკიცებ მე ვვარაუდობ რომ შეიძლება ყოფილიყო ამგვარი მიდგომა, რომ კრიმინალს, პროფესიულ კრიმინალს, ადამიანებს ვინც მიეკუთვნიბიან ან თავს აკუთვნებენ კრიმინალურ სამყაროს, კრიმინალურ ავტორიტეტთა რიგს, რომ მათი გაუვნებელყოფა არ გამოვა (ეს არ არის ჩემი მოსაზრება მე ვუშვებ ამგვარ მიდგომის არსებობას) რომ ამასთან ბრძოლა არ გამოვა, თუ ის მორალურად არ გადაამტვრიე ხერხემალში, და წამება და რაც ვიხილეთ ჩვენ ეკრანებზე და რაც არ გვინახავს და არ ვიცით კიდევ ვიხილავთ თუ არა, ეს არის ამის განუყრელი კომპონენტი. ამის გარეშე ვერ მართავ სისტემას და ვერ გააუვნებელყოფ იმ ადამიანში რაღაცა კრიმინალურ ვნებებს. ის რომ ციხიდან გამოვა რომ არ დაუბრუნდეს თავის საქმიანობას ის უნდა გააფუჭო. აი ეს არის მიდგომა, რომელიც ვვარაუდობ რომ შეიძლება ყოფილიყო მოტივი ამგვარ ქმედებათა განსახორციელებლად...

მაგრამ რა არის ამის საპირისპირო კონცეპტი?

პასუხად სტუმარიც უდასტურებს, რომ სიტყვა ,,ქურდი" ყველა კადრში ფიგურირებდა, რასაც წამყვანიც ეთანხმება. საკითხის ამგვარი ახსნით წამყვანი ცდილობს საკითხი წარმოჩინოს ისე, რომ წამება, იყო მეთოდი, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ ,,ქურდულ სამყაროსთან" ბრძოლისთვის. სწორედ ამ თეორიის განვითარების პარალელურად სხვა მაუწყებლის ეთერში გადიოდა კადრები, სადაც ნაჩვენები იყო ფსიქიური პრობლემების მქონე პატიმრებისადმი არასათანადო და დამამცირებელი მოპყრობა და ძალადობა. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ეს კადრები 20 სექტემბერს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში არ გასულა.

2.2 ტელეკომპანია „იმედი"

1 სასჯელაღსრულების მინისტრის რანგში.

ტელეკომპანიის მიერ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მომხდარი ფაქტების გაშუქება ხდებოდა დაუბალანსებლად და მიკერძოებულად. არხი არ იცავდა უდანაშაულობის პრეზუმფციას. მაგალითად 18 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებაში „ქრონიკა“ ჟურნალისტი ტექსტის ასე ჟღერდა:
,,.. რამდენიმე პირი წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად პატიმრებს არაადამიანურად ექცეოდნენ, რასაც ისინი ვიდეოფირზე იღებდნენ. პატიმრების ცემის და ამის გადაღების მიზეზი კი დამკვეთი იყო. დამკვეთი კი საპრყრობილეში მყოფი თამაზ თამაზაშვილია.“

,,რაში სჭირდებოდა თამაზ თამაზაშვილს პატიმრების ცემის ამსახველი ვიდეომასალა და რატომ იხდიდა ამაში სოლიდურ თანხას? თამაზ თამაზაშვილი დედოფლისწყაროს პოლიციის ყოფილი უფროსია, ის სასჯელს იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვისთვის იხდის. მის სახელს უკავშირებენ პანკისის ხეობაში გატაცებებს და ნარკობიზნესს. თამაზ თამაზაშვილს ბიძინა ივანიშვილთან მჭიდრო ურთიერთობა აქვს. თამაზაშვილზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ მას სოლიდურ თანამდებობას მისცემს. კულუარებში იმასაც კი ამბობენ, რომ ივანიშვილი თამაზაშვილს შანგან საქმეთა მინისტრის თანამდებობას დაპირდა“. ბოლო კომენტარში ჟურნალისტი არ პასუხუსობს მის მიერვე დასმულ შეკითხვას და სრულიად დაუსაბუთებლად აკავშირებს მომხდარ მოვლენებს კოალიცია „ქართულ ოცნებასთან.“

19-20 სექტემბერს აღნიშნული მოვლენების კვლავ მთავარი წამყვანი თემა იყო. მიკერძოებული მასალები ვცრელდებოდა სტუდენტთა საპროტესო აქციებისა და პატიმართა ოჯახის წევრების კომენტარების გაშუქებისას. კერძოდ, საპროტესქტო აქციების გაშუქებისას ჟურნალისტები ცდილობდნენ ეჩვენებინათ ამ აქციების კავშირი კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ ანუ წარმოეჩინათ ეს პროცესები ოპოზიციური ძალის მართულ პროცესად, ხოლო პატიმართა ახლობლების ინტერვიუებში მხოლოდ ის რესპონდენტები იყვნენ ნაჩვენები, რომლებიც ადასტურებდნენ რომ მათი პატიმრები იყვნენ კარგად. თუმცა, სხვა საინფორმაციო საშუალებების მიერ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ოჯახის წევრებს არ ეძლეოდათ პატიმრების ნახვის შესაძლებლობა.

2.3 **ტელეკომპანია „რუსთავი 2“**

მიმდინარე მოვლენები არხის მიერ გაშუქდა დაუბალნსებლად და მიკერძოებულად. 18 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებაში „კურიერი“ წამყვანებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია საზოგადოებას მიაწოდეს როგორც ფაქტი და არ იყო მითითებული, რომ ინფორმაციის წყარო იყო შინაგან საქმეთა სამინისტრო. წამყვანების ტექსტი:

„შეკვეთილი ანგარიშსწორება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ციხეში მყოფი გენერალი ვისი დავალებითაც პატიმრებს სასტიკად უსწორდებოდნენ. შემკვეთი გენერალი თამაზ თამაზაშვილია, რომელიც დღეისათვის სასჯელს იარაღის უკანონო შეძენა - შენახვის ბრალდებით იხდის შემსრულებლები კი გლდანის მერვე საპყრობილის თანამშრომლები არიან.

შეკვეთა რომ შესრულებული ყოფილიყო ამისთვის სადამსჯელო რაზმი ცემის ვიდეო გადაღებასაც აწარმოებდა, რომელიც შემდეგ თამაზაშვილს უნდა ენახა. ეს სასტიკი სცენა საათნახევარი გრძელდება. თუმცა, პატიმრების წამების სრულად ჩვენება მიზანშეწონილი ნამდვილად არ არის. სკანდალური გენერლის წინააღმდეგ კი რომლის სახელიც არაერთ კრიმინალურ საქმეს უკავშირდება, ახალი მოკვლევა დაიწყო“.

სიუჟეტში ხაზგასმულია, რომ თამაზაშვილის შვილი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატია, ბიძინა ივანიშვილი კი თამაზ თამაზაშვილს, რომელიც ციხეშია მაღალ თანამდებობას პირდება. მთელი სიუჟეტი შსს-ს მიერ გავრცელებულ კადრებსა და ჩვენებებს ეყრდნობა, თუმცა კადრს ამგვარი მინაწერი არ ადევს. ფორმალური ბალანსის დაცვის მიზნით, სიუჟეტში მოცემულია „ქართული ოცნების“ პრეს სპიკერის მაია ფანჯიკიძის კომენტარი, რომელშიც ის ამბობს, რომ თამაზ თამაზაშვილი არის პოლიტიკური პატიმარი. სიუჟეტის დარულების ბოლოს, გაშვებულ იქნა ტელეკომპანია „მაეტროს“ მიერ გავრცელებული ვიდეო მასალაც. თუმცა, სიუჟეტის პირველ ნაწილში ინფორმაციის მოწოდების ფორმა და შინაარსი ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ მიმდინარე მოვლენები მიკერძოებულად გაშუქდა.

საინფორმაციო გამოშვების ბოლო ნაწილში პირდაპირ ეთერში ჩაირთო მინისტრი კალმახელიძე, რომელსაც კრიტიკული შეკითხვები დაესვა ჟურნალისტების მხრიდან. რესპონდენტი საუბრობდა იმაზე, რომ აღნიშნული ხდებოდა პატიმრის დავალებით, თუმცა ამ კუთხით ჟურნალისტებს კრიტიკული შეკითხვები არ დაუსვამთ.

მომდევნო დღეების საინფორმაციო გამოშვებებში არ ჰქონია ადგილი ჟურნალისტური ეთიკის უხეშ დარღვევებს. თუმცა, აშკარად შეინიშნებოდა მიკერძოებულობა მთავრობის მიმართ, რაც გამოიხატება იმაში, რომ მთლიანი პროგრამა ეთმობოდა იმას თუ როგორ ეფექტურად დაიწყო მთავრობამ პრობლემასთან ბრძოლა. მაგალითად, 19 სექტმებრის პირველი სიუჟეტი ეხებოდა გლდანის საპატიმროში ბადრაგის პატრულის თანამშრომლებით ჩანაცვლებას და იმას, რომ პატიმრების მშობლებს მთელი ღამის განმავლობაში ეძლეოდათ საშუალება, რომ შესულიყვნენ ციხეში და მოენახულათ თავიანთი ახლობელი პატიმრები, ნიშანდობლივია, რომ ნაჩვენები იყო მხოლოდ მადლიერი ახლობლების კომენტარები. შემდეგ ეს რეპორტაჟი გრძელდება იმით, თუ როგორ შეხვდა ვანო მერაბიშვილი პატრულის თანამშრომლებს და როგორ აძლევს მათ ახალ დავალებეს. ვანო სიტყვით მიმართავდა პატრულის თანამშრომლებს. შემდეგ ვანო მერაბიშვილი ხვდება სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებს და უხსნის თუ როგორ დაამყარებს წესრიგს ციხეში. პირველი (საკმაოდ ვრცელი) რეპორტაჟი ეხება მხოლოდ იმ თემას, თუ როგორ ეფექტურად მოქმედებს მთავრობა პრობლემის მოსაგვარებლად. ვანო მერაბიშვილი უდავოდ დადებით კონტექსტშია წარმოდგენილი. რეპორტაჟში არის შოთა უტიაშვილის კომენტარიც, რომელიც ამბობს რომ საპატიმროებში ახლა წესრიგია. მეორე, ასევე, ვრცელი რეპორტაჟი მიეძღვნა პრეზიდენტის შეხვედრას მერაბიშვილთან, ადეიშვილთან, მთავარ პროკურორთან და შსს მინისტრის მოადგილესთან. ეს რეპორტაჟი ასახავს პრეზიდენტის საუბარს მინისტრებთან.

აღსანიშნავია, რომ ყველა სიუჟეტში, რომელშიც მთავრობის წევრების კომენტარები იყო წარმოდგენილი, ავლენდა არხის პოზიტიურ დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ.

2.4. ტელეკომპანია „რეალ ტვ“

ტელეკომპანია მიმდინარე მოვლენებს აშუქებდა დაუბალანსებლად და მიკერძოებულად. განსაკუთრებით აღსანიშნავია, „ქართული ოცნების“ უარყოფით ტონში მოხსენიება. 18 სექტემებრის 22:00 საათიან საინფორმაციო გამოშვებაში გავიდა სიუჟეტი სახელწოდებით „გაშიფრულები“. სიუჟეტის ანონსი: „ოცნების პიარშიკების სქემა - ლინკოლნ მიტჩელი ივანიშვილის პიარშია ჩართული.

რაში ხარჯავს მილიონებს ბიძინა ივანიშვილი და რამდენს უხდის ლობისტურ კომპანიებს“. სიუჟეტი თითქმის 10 წუთი გაგრძელდა.

მეორე სიუჟეტი მიეძღვნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარ ფაქტებს. ჟურნალისტის კომენტარი: “ცემის დამკვეთი კი ქართული ოცნების წევრი, და შევარდნაძის მთავრობის დროინდელი კახეთის პოლიციის ყოფილი უფროსია. ამ დროისთვის უკვე გარკვეულია, რომ აღნიშნული ვიდეო მასალა ქართულ ოცნებას ჭირდებოდა. უკვე ცნობილია, რომ წამების ამსახველი კადრები ოლიგარქის მიმდევრებს უცხოეთში საქართველოს წინააღმდეგ უნდა გამოეყენებინა და უცხოური ტელევზიებისთვის უნდა მიეწოდებინა.“

სუბიექტური შეფასება მიეცა ტელეკომპანია „მაესტროს“მიერ გავრცელებული კადრების ჩვენებასაც: „დამატებითი კადრების გავრცელება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ეს კადრები წინასწარ იყო გადაღებული და ეხლა ამის გამოყენების საჭიროება ნაადრევად გახდა. სავარაუდოდ სცენარი რომლის განხორციელებაშიც ივანიშვილის ფავორიტმა თამაზ თამაზაშვილმა სოლიდური თანხა გადაიხადა მიზნად საერთაშორისო სკანდალის აგორებას ისახავდა“.

19-20 სექტემბერს არხის მიერ ძირითადი აქცენტი კეთდებოდა ხელისუფლების რეაგირებაზე მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით, ხოლო საპტორესტო აქციებს ძალზე ცოტა დრო დაეთმო, თან ისეთი ფორმით, რომ არ ასახავდა რეალურ სურათს. არხზე ნაჩვენები იყვნენ პატიმართა ის ახლობლები, რომლებიც მხოლოდ მადლიერებას გამოხატვადნენ პატიმრებთან შეხვედრის გამო.

2.5. ტელეკოპმანია „კავკასია“

საინფორმაციო გამოშვებები

საინფორმაციო გამოშვებებში დაცულია ბალანსი და არ ვლინდება არხის მიკერძოებულობა. თუმცა, არხმა არ გაამახვილა ყურადღება პატიმრების გაუპატიურების ამსახველ მასალაზე, თუმცა, აღნიშნული არ შეიძლება საინფორმაციო გამოშვებების ნაკლოვანებად შეფასდეს, რადგან სხვა მასალა იყო დაბალანსებული და მიუკერძოებელი, ასევე, სრულყოფილად იყო წარმოჩენილი პრობლების არსი.

19-20 სექტებრის საინფორმაციო გამოშვებებში ასახული იყო მიმდინარე მოვლენები. მაგალითად 19 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვებაში ქრონოლოგიურად ნაჩვენები იყო სტუდენტების საპროტესო აქციები, არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნები, საპატრიარქოს განცხადება, დავით ბაქრაძისა და ბიძინა ივანიშვილის განცხადებები გავრცლებეულ კადრებთან დაკავშირებით. 1 სიუჟეტში წარმოჩენილ საპროტესტო პოზიციას აუცილებლად მოსდევა პროკურატურის ან ხელისუფლების სხვა უწყების პოზიციის გაშუქებაც.

პოლიტირკული თოქ-შოუები

მიკერძოებული და დაუბალნსებელია არხზე არსებული პოლიტიკური თოქ-შოუები, განსაკუთრებით მათი წამყვანები დავით აქუბარდია და ალეკო ელისაშვილი. 19 სექტემბრის გადაცემა „სპექტში“ მოწვეული იყვნენ დაჩი ჩაგურია, გუგული მაღრაძე, ბიძინა სავანელი. წამყვანი არ მალავდა და ვრცლად წარმოაჩენდა საკუთარ პოზიციას, იყენებდა არაერთიკურ ტერმინოლოგიას: „გეგეჭკორის

ხროვა“[2], პროკურატურის მიმართ გაკეთებული კომენტარი ასე ჟღერდა: „ოფიციალურად წერილი გავაგზავნეთ პროკურატურაში და მოვითხოვეთ სისხლის სამართლის საქმის მოკვლევა ყოფილიოყო ამ საკითხზე, პროკურატურა ქალიშვილივით გადაეფარა შინაგან საქმეთა სამინისტროს.“

გადაცემა „ცხელი ხაზისა“და „ბარიერის“ წამყვანი ალეკო ელისაშვილიც გამოირჩევა მიკერძოებული პოზიციით, შეიძლება ითქვას, რომ ის ერთგვარი მხარის სახით წარმოგვიდგება გადაცემის მსვლელობისას. მაგალითად, 18 სექტემბრის გადაცემა „ბარიერი“, წამყვანმა დაიწყო საკუთარი სუბიექტური პოზიციის ჩამოყალიბებით და საბოლოოდ გადაცემა დასრულდა იმით, რომ ის მის მიერვე მოწვეულ, განსხვავებული პოზიციის სტუმარს, თეა თუთბერიძეს, დაბეჯითებით თხოვდა დაეტოვებინა გადაცემა.

19 და 20 სექტემბერს, გადაცემის „ცხელი ხაზი“, ალეკო ელისავილთან ერთად თანაწამყვანები იყვნენ ნათია ორველაშვილი და ზვიად ქორიძე. ჟურნალისტი (ალეკო ელისაშვილი) ორივე გადაცემაში გამოირჩეოდა მიკერძოებული და ემოციური კომენტარებით, თუმცა განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, 20 სექტემებრის გადაცემაში გაკეთებული დაუსაბუთებელი და აგრესიული კომენტარი. კერძოდ, „2 არაკაცი, სადისტი, მოდით პირდაპირ ვილაპარაკოთ 1 გირგვლიანის მკვლელობაში იყო გარეული, მეორე ჩამოყალიბებული პათოლოგი, რომელსაც ცოდვა მადლი წამოეწია, ამათი გამზრდელი მამა, რომელმაც ეხლა ჟურნალისტები ცემა სულ ცოტა ხნის წინ პატრიაქმა ჩვენმა საყვარელმა პატრიარქმა ორდენით დააჯილდოვა.“

2.6. ტელეკომპანია „მეცხრე არხი“

საინფორმაციო გამოშვებები

არხის მიერ მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას გამოიკვეთა მიკერძოებულობის შემთხვევები. 18 სექტემბერს საინფორმაციო გამოშვებებაში გავრცელდა პატიმართა წამების ამსახველი კადრები, რომელსაც შემდეგ მოყვა საზოგადოების მღელვარება. მაუწყებელმა გაავრცელა ვიდეომასალის ავტორ ვლადიმერ ბედუკაძესთან სკაიპით ჩაწერილი ინტერვიუც, მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტს რესპონდნეტისთვის არ დაუსვამს კრიტიკული შეკითხვები, მაგალითად არ უკითხავს 16 წლიანი მუშაობის შემდეგ სწორედ ახლა რატომ გადაწყვიტა კადრების გასაჯაროება.

19 სექტემბრის საინფორმაციო გამოშვება მოდულის შენობასთან მიმდინარე აქციით დაიწყო. ჟურნალისტმა აქციას „ცოცხების აქცია“ უწოდა. შემდეგ აქცენტი იმაზე გააკეთა, რომ შენობასთან სპეცრაზმის მობილიზება ხდებოდა, ჩართვისას ჟუნალისტმა იგივე გაიმეორა, კადრში კი ჩანდა რომ რამდენიმე სამხედრო ფორმიანი ადამიანი იდგა შენობასთან, რამდენიმე სპეცრაზმელი კი შენობაში შერბოდა. დარჩა შთაბეჭდილება, რომ ტელეკომპანია ხელოვნურად ცდილობდა სიტუაციის გამწვავებას. თუმცა, ამგვარი ტონი და მიკერძოებული შეფასებები წამყვან ნათია ლაზაშვილის ტექსტებში წინა პერიოდისგან განსხვავებით აღარ შეინიშნებოდა.

მიკერძოებული კომენტარი გამოვლინდა 20 სექტემებრის საინფორმაციო გამოშვებაში. კერძოდ, სიუჟეტში, რომელიც ეძღვნებოდა გლდანის ციხესთან მიმდინარე აქციას, ჟურნალისტმა შესავალში

2 იგულისხმება პატრულის თანამშრომლები.

დასვა შეკითხვა: „რატომ ძაბავს ხელისუფლება სიტუაციას ხელოვნურად?“ თუმცა, ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა მთელი სიუჟეტის განმავლობაში, ვინაიდან ხელისუფლების კომენტარი არ ისმოდა.

პოლიტიკური თოქ-შოუები

არხის დაუბალენსებლობა და მიკერძოებული დამოკიდებულება გამოვლინდა თოქ-შოუების „მთავარი კითხვა“ და „მატრიცა“ მონიტორინგის შედეგად. მაგალითად, 19 სექტემბრის გადაცემა „მთავარი კითხვაში“ ჟურნალისტმა აღნიშნა, რომ რედაქციას სურდა პასუხისმგებელი პირების ეთერში მოწვევა მაგრამ პრეზიდენტის, პრემიერ მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის პრესსამსახურებთან დაკავშირება ვერ შეძლეს და მათ პირდაპირ ეთერში სთხოვეს სტუდიაში მისვლა. თუმცა, მიუხედავად ამ ობიექტური გარემოებისა, სტუდიაში მაინც მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები იყვნენ მოწვეული. 19 სექტემებრის გადაცემაში, სხვა პოლიტიკურ პარტიას არ მიეცა შესაძლებლობა გამოეხატა საკუთარი პოზიცია ქვეყნაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს პროცესებზე.

გადაცემა „მატრიცას“ წამყვანი არ მორიდებია საკუთარი მიკერძოებული პოზიციის წარმოჩენას. უფრო მეტიც მისი კომენტარები და მოწოდებული მოსაზრებები სცდება ყოველგვარ სამართლებრივ ფარგლებს. მაგალითად, 19 სექტემბრის გადაცემაში მან ასეთი მოსაზრება გააჟღერა: „პრინციპში ეხლა მივიღეთ რაღაც ცაიტნოტური სიტუაცია, როდესაც ყველა ვინც ზის, უნდა გამოუშვან უბრალოდ. იმიტომ რომ მათ გადაიტანეს ის, რაც არ ეკუთვნით უბრალოდ. მემგონი ყველა უნდა გავათავისუფლოთ.“

2.7. ტელეკომპანია „მაესტრო“

საინფორმაციო გამოშვებები

ტელეკომპანიის საინფორმაციო გამოშვებები დაბალანსებული და მიუკერძოებელია, არხი გადმოსცემდა ყველა მნიშვნელოვან ფაქტს მიმდინარე მოვლენების თაობაზე. საინფორმაციო გამოშვებებში შეიმჩნეოდა ფაქტების სიღრმისეული მოკვლევის მცდელობები. მაგალითად, 19 სექტემბერს, საინფორმაციო გამოშვებაში ყურადღება მიექცა იმ ფაქტს, თუ რატომ იმყოფებოდა წამების დღეს საპყრობილეში ლაგადოხის პოლიციის უფროსი. მიუხედავად, არაერთი მცდელობისა ისინი მას ვერ დაუკავშირდნენ.

პოლიტიკური თოქ-შოუები

პოლიტიკური თოქ-შოუების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევაზე. 18 სექტემბრის გადაცემაში „პოლიტმეტრი“ პატიმრის მაიდენტიფიცირებელი ფორმით აჩვენეს კადრები, რომელშიც ჩანდა სასტიკი მოპყრობის შემდეგ, როგორ დააწერინეს პატიმარს ხელწერილი თანამშრომლობის თაობაზე.

საინფორმაციო გამოშვებებისაგან განსხვავებით დაუბალანსებლობისა და მიკერძოებულობის პრობლემა გამოვლინდა გადაცემაში „სუბიექტური აზრი“. კერძოდ, მისმა წამყვანმა 19 სექტემბრის ეთერში გააკეთა ასეთი კომენტარი: ; „ეს არსებული კაცი, რომ კაცობს და იგინება, რაღაც კაცობს, ვნახე ვინ არის უკრაინაში აკეთებს ვაშლის საწყობს“. ეს შეფასება მოყვა ვანო მერაბიშვილის და

მიხეილ სააკაშვილის ფარული ჩანაწერების ეთერში გაშვებას და ეხებოდა კონკრეტულად პრემიერ მინისტრს ვანო მერაბიშვილს.

გადაცემებში „არგუმენტები“ და „პოლიტმეტრი“ დაცული იყო წარმომადგენლობითობა და ბალანსი. თუმცა, აღსანიშნავია 20 სექტემბრის გადაცემაში „პოლიტმერტი“ წამყვანის აგრესიული დამოკიდებულება მის რესპონდენტთან, გოგა ხაჩიძესთან. კერძოდ, ხაჩიძის განცხადებაზე “უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უბედურება დავამარცხოთ..... საზოგადოებასთან ერთად“. წამყვანის რეაქცია ამგვარი იყო „თქვენ უნდა იფიქროთ? საზოგადოებასთან ერთად, ადამიანებმა რომლებმაც თქვით, რომ ეს იყო სისტემური მარცხია, რომ თქვენ შეგეშალათ ასე მაშტაბურად, ფიქრობთ, რომ მორალური უფლებები არსებობს თქვენი მხრიდან, რომ საზოგადოებამ მოგცეთ დრო თუნდაც 4 წელი საიმისოდ, რომ ამას გამოასწორებთ“.